ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 70

8 ნოემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და განათლებისა და კულტურის კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი-ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. (12-0319304101-03)
2. ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი „ ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გადანაწილების შესახებ".
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება-ინფორმაციის სახით.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"(12-031930162-03)
5. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი №27ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.203) არსებული 2,126.82 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03191701-03 19.06.2019)

6. „ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების **თაობაზე"(12-031929540-03)**
7. ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **(12-031930279-03)**
8. ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.036.047) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის" (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **(12-031930279-03)**
9. „ქალაქ თბილისში, ს. ცინცაძის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.005.036) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიას" (ს/ნ: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" **(12-031930279-03)**
10. "ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ.ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " **(12-031930379-03)**
11. "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **(12-031930379-03)**
12. "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე "**(12-031930379-03)**
13. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ნაკვეთი 07/029) (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " **(12-031930379-03)**
14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი დასახლებაში, III მასივის I კვარტალის კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**(12-031930379-03)**
15. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტალის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე "**(12-031930379-03)**
16. "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " **(12-031930379-03)**
17. "ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " **(12-031930379-03)**
18. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ:01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.**(12-031930381-03)**
19. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ:01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.**(12-031930381-03)**

20. ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031930377-03)
21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (12-031930931-03)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტი კომისიის წევრებს, რომ საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით დღის წესრიგიდან ამოეღოთ მე-7 საკითხი და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველს საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი დამტკიცდა სხდომის თავმჯდომარის წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

საკითხი წარადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მან აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გადმოსაცემი ტრანსფერის - 100 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ამასთანავე, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ვალდებულებების ზრდის გეგმით გათვალისწინებული 74 820,0 ათასი ლარის შემცირებას. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 25 180,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 100 450,8 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება:

გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 187,9 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 5 606,5 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 31 162.2 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 450,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) 1 020,2 ათასი ლარით; დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) –

2 200,0 ათასი ლარით; დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 400,0 ათასი ლარით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 275,0 ათასი ლარით; ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 495,0 ათასი ლარით; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 26,1 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 75,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 282,0 ათასი ლარით; საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) – 240,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 25,0 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 500,0 ათასი ლარით.

მცირდება:

გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 11,5 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 20,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 143,0 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 11 850,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 420,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 160,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 27,9 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 21,5 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 140,0 ათასი ლარით; ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 600,0 ათასი ლარით; ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი 06 01 12) – 55,0 ათასი ლარით; სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 20,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 100,0 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 14 06) – 26,1 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 162,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 100,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 120,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 30,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 145,0 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 4 318,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 37,0 ათასი ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) – 2 007,9 ათასი ლარით;

გარდა ამისა, იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 4 ერთეულით და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 5 ერთეულით, შესაბამისად ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზრდა 8 ერთეულით ერთეულით.

საკითხთან დაკავშირებით კომისიების წევრთა შეკითხვებზე დამატებით განმარტა ლევან მიქავამ.

მომხრე-8, წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი „ ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გადანაწილების შესახებ".

მომხსენებელი-ლევან მიქავა

ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნის საფიძველზე, 123 602 ლარი ემაეტება რაიონის „სხვა სოციალური (დახმარბები) ღონისძიებების (კოდი 06 02 18 13) პროგრამას. თანხები გადმოაქვთ პროგრამებიდან: „უფასო სასადილოებით მომსახურება" (კოდი 06 02 14 12) და „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკმპენსაციო თანხები" (კოდი 06 02 16 13). გამგეობა აღნიშნავს, რომ აღნიშნულ პროგრამებში აქვთ თავისუფალი რესური შესაბამისად 95602 ლარი და 28000 ლარი, ხოლო საციალური დახმარებების პროგრამაში თანხები არ ყოფნით.

მომხრე- 9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება

2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია საქალაქო სამსახურებიდან, რაიონული გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 63,085.2 ათასი ლარი.

2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 760,763.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 760,766.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%.

<u>შემოსავლები</u> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 678,987.1 ათასი ლარი, ფაქტიურად 731,424.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 107.7% და მთლიანი - შემოსულობების 96.1% შეადგინა.

<u>*გადასახადების სახით*</u> ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 538,218.5 ათასი ლარი. **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 175,619.7 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 171,545.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე

გადასახადი (გარდა მიწისა) – 948.1 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 1,350.6 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (ფაქტი – 151,265.1 ათასი ლარი) შედარებით 24,354.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2018 წლის 9 თვე - 149,700.4 ათასი ლარი).

<u>*გრანტები*</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 20,423.9 ათასი ლარი. მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 381.2 ათასი ლარი (მათ შორის ევროკავშირის მიერ მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის"); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 20,042.7 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 344.7 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 19,698.0 ათასი ლარი (პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები).

<u>*სხვა შემოსავლები*</u>

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 146,570.6 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 172,782.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 117.9 %-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 7,978.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6,825.4 ათასი ლარი) შედარებით 1,153.1 ათასი ლარით მეტია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 29.6 ათასი ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საექიმო ამბულატორია - 4.1 ათასი ლარი, შპს „თბილისის სისხლის გადასხმის ამბულატორია" – 15.2 ათასი ლარი, შპს ლილოს სამედიცინო ცენტრის მიერ - 1.1 ათასი ლარი და N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის მიერ - 9.2 ათასი ლარი).

რენტის სახით მობილიზებულია 3,690.5 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,244.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,446.3 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 107,957.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (103,419.6 ათასი ლარი) 104.4%-ია. მათ შორის:

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 53,235.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (52,500.0 ათასი ლარი) 101.4%-ი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 35,803.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 35,150.0 ათასი ლარის 101.9%-ია.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 10,231.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,020.0 ათასი ლარი) 170%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,273.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,329.1 ათასი ლარი) 95.8%-ია.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 43,776.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (30,000.0 ათასი ლარი) 145.9%-ია.

<u>**არაფინანსური აქტივებიდან**</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 28,030.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 2,319.1 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 25,711.0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 1,310.6 ათასი ლარი ასახული ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო 0,5 ათასი ლარი ასახული სესხების სახით (ბინათმესაკურეთა ამხანაგობების ფარგლებში გაცემული სესხის დაბრუნება).

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.8 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო ფინანსური ვალდებულებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 769,086.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 628,369.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 507,998.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 446,793.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 71.1%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 248,578.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 172,818.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 27.5%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 12,509.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8,758.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.4%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 112,475.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (136,514.5 ათასი ლარი) 82.4%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 123,379.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (163,552.1 ათასი ლარი) 75.4%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 47,143.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (66,355.4 ათასი ლარი) 71.1%-ია;

ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა - 1,316.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,511.5 ათასი ლარი) 29.2%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 16,478.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (16,692.9 ათასი ლარი) 98.7%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 146,030.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (157,900.0 ათასი ლარი) 92.5%-ია;

განათლება - 102,275.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (125,274.5 ათასი ლარი) 81.6%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 16,612.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (21,572.9 ათასი ლარი) 77%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,670.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,569.5 ათასი ლარი) 58.4%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 59,987.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (72,143.5 ათასი ლარი) 83.2%-ია.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე

ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შემდეგ ემატება 7[1] მუხლი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჭ[2]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტების გამოცემა:

ა) განცხადების მიღებიდან 20 დღის ვადაში – უფასო;

ბ) განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში – 200 ლარი;

გ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში – 300 ლარი;

დ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 400 ლარი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი №27ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.203) არსებული 2,126.82 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

21 ოჯახს, რომლებისც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 2078 კვმ საცხოვრებელი ფართი. რამოდენიმე მოქალაქეს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით უფიქსირდებათ ფართები სხვადასხვა რაიონებში.

მომხრე-8. ვახტანგ შაქარაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

გლდანის გამგეობის შუამდგომლობით 4 ოჯახს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობენ საცხოვრებელი ფართებით აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 226,64 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.036.047) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის“ (ს/ნ: 405141029) ოჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

შპს „ფასანაური 2016“-ს იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 23 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობისათვის. იჯარის მოქმედების ვადაა 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდი, წლიური საიჯარო ქირა 3500 ლარი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს :„ქალაქ თბილისში, ს. ცინცაძის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.005.036) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიას“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 14 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობისათვის. იჯარის მოქმედების ვადაა 2020 წლის 3 მაისამდე პერიოდი.წლიური საიჯარო ქირა 2100 ლარი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ.ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, მოქალაქე მზია ჩხიკვაძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 51,07 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქე აქ ცხოვრობს 1994 წლიდან.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს :“ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, მოქალაქე მაყვალა დანელიას , რომელიც 1999 წლიდან ცოხვრობდა აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 58,23 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:“ ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, გიორგი ქართველიშვილს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 58,71 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხვოვრობს 1993 წლიდან და სხვა ალტერნატიული ფართი არ აქვს.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ნაკვეთი 07/029) (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ზაზა ხეჩინაშვილს, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 98,63 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი დასახლებაში, III მასივის I კვარტალის კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლიბით, 4 ოჯახს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 186 კვმ საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული პირები აქ ცხოვორბენ 14 წელი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტალის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლიბით, გულნარა ჩოხელს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 49,69 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1992 წლიდან და სხვა ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით არ უფიქსირდება.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლიბით, ფირუზ ლომიძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 56 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1989 წლიდან და სხვა ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით არ უფიქსირდება.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლიბით, რუსუდან ბარნაქაძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 43,99 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1987 წლიდან.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა #7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:#01.18.03.062.008) 5კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალანისთვის“ (ს/კ 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

შპს „გალენის“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 5 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 2020 წლის 1 აგვისტომდე. წლიური საიჯარო ქირაა 900 ლარი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ:01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

ა(ა)იპ „იას“, უსასყიდლო უზურფრუქტით ორი წლით გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართი, შეზღუდული შსაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისათვის და დასაქმებისათვის სახელოსნოების განთავსების მიზნით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას გადაეცემა სიმბოლურ ფასად, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი #15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) პირდაპირი განკარგვის ფორმით, შემდგომში ტაძრის მშენებლობისათვის შემოღობვის გარეშე.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, ნეკრესის ეპარქიისთვის გადაეცემა სიმბოლურ ფასად, „MERSEDES”-ის მარკის ავტობუსი და სხვადასხვა ნაწილები სართო ჯამში 53944 ლარის ღირებულებით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ოთარ გრიგოლია